სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

13 მარტი 2024

N 21/2612

შპს „ბლექ სი პეტროლიუმს“

მის: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 17ა, სართული 9, ბინა N57

ელ. ფოსტა: zmgreen@gamma.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი N1801 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას და გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2024 წლის 11 მარტის წერილის N756 თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი (shp ფაილის მიხედვით) კვეთს კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრებს, თუმცა სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული ეგხ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად კოლხეთის ეროვნულ პარკსა და არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ასევე, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იგეგმება, თუ არა რაიმე სახის სამუშაოების განხორციელება უშუალოდ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. ასევე, პროექტის განხორციელების დროს მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული შემარბილებელი ღონისძიებები, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და გამოყენებულ იქნას ის სტანდარტები, რომელიც ითვალისწინებს დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებას.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს N11/1248 წერილის თანახმად, წარმოდგენილი კონტურები (Shp ფაილი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, ნაწილობრივ ზედდებაშია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყესთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის განხილვისა და პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიების ადგილმდებარეობისა და ფართობების დადგენის მიზნით, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის პოლიგონური Shp ფაილები. **ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის, მე-6 ნაწილის თანახმად „თუ დაგეგმილი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება და ტყის სტატუსის შეწყვეტას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებას საჭიროებს, საქმიანობის განმახორციელებელმა სკოპინგის ანგარიშს უნდა დაურთოს ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ“.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 110 კვ. ძაბვის ქვესადგურის მოწყობა, რომელიც ასახული არ არის Shp ფაილზე, ასევე დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში წარმოდგენილი არაა ქვესადგურში მოსაწყობი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული საკითხების გათვალისწინებით, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია
თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო